

## ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 327

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია: 6 სექტემბერი 2016წ.

### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების“ საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებითი და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

„შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში - „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვებს.

„მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

„ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის:

„დღე“ „კვირა“ „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, თვეს, კვირას თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

### 2. ხელშეკრულების დამდები მხარეები:

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ, დუშეთის მუნიციპალიტეტი, რომლის რეკვიზიტებია: მისამართი - ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N27, ს/კ 229324451, სახელმწიფო ხაზინა, ბ/კ TRESGE22, ა/ა GE24NB033001002001165022 – (შემდგომში - „შემსყიდველი“)

(შემსყიდველის დასახელება და რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ: ინდ/მეწარმე „მიხეილ ზაქარიაშვილს“ შორის, რომლის რეკვიზიტებია: მისამართი - ქ. დუშეთი, ბაჩანას ქ. N 27 ს/კ 16001008780 , მომსახურე ბანკი - „ლიბერთი ბანკი“ ბ/კ LBRTGE22, ა/ა GE14LB0112150436356000 - (შემდგომში - „მიმწოდებელი“)

### 3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: CPV – 71200000/71247000, დუშეთის მუნიციპალიტეტში სამუშაოთა ზედამხედველობა უნდა განხორციელდეს: 2016 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის „ფარგლებში დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე შემდეგ სამშენებლო ობიექტზე. 1. ქვეშეთის ა/ე სოფელ წკერე მდ.არაგვზე არსებული ხიდის რეაბილიტაცია (სავარაუდო ღირებულება 33 ) ლარი. 2) ქვეშეთის ა/ე სოფელი ქვემო მლეთა სარიტუალო დარბაზის მშენებლობის გაგრძელება (სავარაუდო ღირებულება 44 ) ლარი. 3) ქვეშეთის ა/ე ბედონში სასმელი წყლის გამოყვანა (სავარაუდო ღირებულება 51) ლარი. 4) ქვეშეთის ა/ე ზემო მლეთაში სასმელი წყლის გამოყვანა (სავარაუდო ღირებულება 55) ლარი. 5) ქვეშეთის ა/ე ბენიან-ბეგინი „იუხო სვიანი როსტიაანი სასმელი წყლის

გამოყვანა (სავარაუდო ღირებულება 100 ) ლარი. 6) ქვეშეთის ა/ე სოფელ ლაკათხევში მდინარის ნაპირსამაგრი სამუსაოები(სავარაუდო ღირებულება 37 )ლარი 7) ლაფანაანთკარია ა/ე სოფელ მღარანში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა(სავარაუდო ღირებულება 44) ლარი 8) მადაროსკარის ა/ე სოფელ კუჭქასი ხევის კალაპოტის გაწმენდა (სავარაუდო ღირებულება 34)ლარი 9). უკანაფშავის ა/ე სოფელ სუაფხოში საერთო სარგებლობისათვის საპირფარეშოს მოწყობა (სავარაუდო ღირებულება 17 )ლარი 10). ანანურის ა/ე სოფელ ანანურში სასმელი წყლის რეაბილიტაცია ,(სავარაუდო ღირებულება 53 ) ლარი. 11).სოფელ ანანურში წყლის სათავე ნაგებობის შემოღობვა (სავარაუდო ღირებულება 37 )ლარი. 12). გუდამაყრის ა/ე სოფელ ჩოხში კულტურულ -ეთნოგრაფიული დასვენების სახლის და ბულვარის მოწყობა..(სავარაუდო ღირებულება 220 )ლარი. 13 ) შატილის ა/ე სოფელ შატილში ხიდის ბურჯის და გაბიონის მოწყობა, (სავარაუდო ღირებულება 55 ლარი ) 14 ) სოფელ ხახაბოში გზის გაყვანა, (სავარაუდო ღირებულება 32 )ლარი 15) სოფელ არდოტი-ანდაქის მიმართულებით სამანქანე გზის გაჭრა. (სავარაუდო ღირებულება 26 ლარი ) ბაზალეთის ა/ე სოფელ მლაშე, მინი სტადიონის მოწყობა (სავარაუდო ღირებულება 42 ) ლარი. 16) ბაზალეთის ა/ე სოფელ ჩუბინიანთკარი, წყაროს მიმდებარედ ცხურის გაკეთება (სავარაუდო ღირებულება 53) ლარი. 17) ბაზალეთის ა/ე სოფელ ძველი საკრამული, სასმელი წყლის რეაბილიტაცია,(არსებული ქისტის სიღრმის დამატება) (სავარაუდო ღირებულება 36) ლარი. 18) ბაზალეთის ა/ე სოფელ ძველი საკრამული, სასმელი წყლის ბასეინის რეაბილიტაცია (სავარაუდო ღირებულება 4) ლარი. 19) ბაზალეთის ა/ე სოფელ პირმისაანი,სანიაღვრე არხის მოწყობა; (სავარაუდო ღირებულება 75) ლარი. 20) ბაზალეთის ა/ე სოფელ ჩანადირთკარი, სტადიონის შემოღობვა. (სავარაუდო ღირებულება 8) ლარი. 21) ბაზალეთის ა/ე სოფელ ჩანადირთკარი, სკვერის მოწყობა. (სავარაუდო ღირებულება 59 ) ლარი. 22) ბაზალეთის ა/ე სოფელ ბაგაში სარიტუალო სახლის მშენებლობა (სავარაუდო ღირებულება 59 )ლარი 23) ბაზალეთის ა/ე სოფელ საკრამულში გზის რეაბილიტაცია (ორმოულების შეკეთება) (სავარაუდო ღირებულება 63 )ლარი 24) მჭადიჯვრის ა/ე სოფელ წიწამურა, მდინარე ნარეკვაზე საცალფეხო ხიდის გაკეთება (სავარაუდო ღირებულება 43 )ლარი 25) მჭადიჯვრის ა/ე სოფელ ზემო კოდისწყარო, ქვემო კოდისწყარო, სასმელი წყლის რეაბილიტაცია.(სავარაუდო ღირებულება 72 ) ლარი 26). მჭადიჯვრის ა/ე სოფელ ბაქაქურები, სასმელი წყლის რეაბილიტაცია (სავარაუდო ღირებულება 46) ლარი. 27. მჭადიჯვრის ა/ე სოფელ ლამოვანი, სპორტული მოედნის მოწყობა (სავარაუდო ღირებულება 57 )ლარი. 28 ქონქაძის ა/ე სოფელ ახალი ტონჩა .მინი სტადიონის მოწყობა. (სავარაუდო ღირებულება 77 )ლარი. 29. ქონქაძის ა/ე სოფელ ბოდორნაში სარწყავი წყლის სისტემის რეაბილიტაცია. (სავარაუდო ღირებულება 54) ლარი. 30 ქონქაძის ა.ე სოფელ ოქრუანი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა.(სავარაუდო ღირებულება 25 ) ლარი. 31 ქონქაძის ა.ე სოფელი დუდაურები წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა. (სავარაუდო ღირებულება 39 )ლარი. 32. ქონქაძის ა.ე სოფელი ახალანები წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა. (სავარაუდო ღირებულება 8 )ლარი.

#### 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 გასაწვეი მომსახურების ღირებულება შეადგენს: 1658 (ერთი ათას ექვსას ორმოცდათვრამეტი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით. მომსახურება გაწეული იქნება შემდეგ მისამართზე: დუშეთის მუნიციპალიტეტის შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულები.

## 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

- 5.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების პირობების დაცვით განახორციელოს ზედამხედველობა 3.1 პუნქტში მითითებულ ობიექტებზე, სამუშაოების პროცესში შემსყიდველს სისტემატიურად მიაწოდოს ინფორმაცია ყოველ 10 დღეში სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ. იგი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.
- 5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.
- 5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.
- 5.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებაზე.

## 6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

- 6.1 მომსახურება გაწეულად ჩაითვლება შესრულებულ სამუშაოზე ზედამხედველის დასკვნის და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის საფუძველზე.
- 6.2 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:
- მიმწოდებლის მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა და ღირებულება.

## 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 7.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი.

## 8. გაწეული მომსახურების ხარისხი და გარანტია

- 8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება მომხმარებლისათვის მაღალხარისხოვნად გაწეული, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება.

## 9. ანგარიშსწორება

- 9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
- 9.2 ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი დასკვნის და მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.
- 9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

## 10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მეოთხე პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა, ხელშეკრულების მთელი მოქმედების განმავლობაში, დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

10.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ს.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარმოუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 12. უფლებების გადაცემა

12.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობა.

## 13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით,

კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამოწვევი მიზეზების შესახებ, თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

#### 14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

14.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

14.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

#### 15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს, მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი დამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ათი დღით ადრე.

15.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:  
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15.6 15.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

## 16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზე, რომ ყველა ღონეს იხმარენ რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

16.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 17. სხვა პირობები

17.1 მიწოდების ვადა: 2016 წლის 31 დეკემბერი

17.2 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

17.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი ორგანიზაცია:

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლი:



/მ. ჩოხელი/

მიმწოდებელი:

ი/მ „მიხეილ ზაქარიაშვილი“:



/მ. ზაქარიაშვილი/

იურისტი: